ორგანიზაციის ფსიქოლოგია

1. **მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია**
   ფსიქოლოგიის დოქტორი – ორგანიზაციის ფსიქოლოგია

2. **პროგრამის ხელმძღვანელი**
   მოწვეული პროფესორი გივი ქირია, ასოცირებული პროფესორი ია კუტალაძე

3. **პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება**

პროგრამის მიზნები:

ორგანიზაციის ფსიქოლოგიის დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დამოუკიდებელი დაგეგმვისა და განხორციელების კომპეტენციების შეძენა და პროფესიული ჩვევების სრულყოფა.

ორგანიზაციული ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს:

- სადოქტორო პროგრამის მონაწილეების მეცნიერებად, მკვლევრებად და პრაქტიკოსებად ჩამოყალიბებას
- მეცნიერული კვლევის საფუძველზე, ორგანიზაციაში ადამიანის ქცევისა და ინტერაქციის ბაზისური ცოდნის შეძენას.

სწავლის შედეგი:

სადოქტორო პროგრამის დამთავრების შემდგომ სპეციალისტს უნდა შეეძლოს:

- ფსიქოლოგიის დარგში დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დაგეგმვა და წარმოება;
- სასწავლო კურსის პროგრამის შედგენა და სასწავლო პროცესის წარმართვა.

სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდგომ დოქტორანტს შეუძლია: სამეცნიერო- კვლევითი პროექტების წარმოება, სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციაში დამოუკიდებელი პრაქტიკული მუშაობა, უმაღლეს სასწავლებელში სწავლება და პროფესიული წვრთნა.

4. დასაქმების სფეროები

ორგანიზაციის ფსიქოლოგიის დოქტორს აქვს დასქმების ფართო პერსპექტივა სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციაში – უმაღლესი სასწვლებელი, კერძო სტრუტურა,

სახელმწიფო უწყება, არასამთვარობო ორგანიზაცია, გამოყენებითი კვლევისა და საკონსულტაციო ორგანიზაცია.

5. პროგრამაზე მიღების წინაპირობები

მაგისტრის ხარისხი შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიაში, სოციალურ ან ზოგად ფსიქოლოგიაში.